სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

81688982584921

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210727703

რეგისტრაციის თარიღი

13.07.2021 წ

ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი
მისამართი: თბილისი, სანაპიროს 2ა, #1
ტელეფონი: 599336099

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაერთი წლის ცამეტ ივლისს მე, დავით ჩალათაშვილს საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, სანაპიროს 2ა, #1, მომმართა ბექარი ხოფერიამ, როგორც შპს „აპარტ დეველოპმენტი“-ს (ს/კ:405329764) დირექტორმა და მთხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ბექარი ხოფერიამ (დაბ.:30.04.1990წ., რეგისტრირებული მისამართი: თბილისი ნინო ჟვანიას ქ. N 26 ბ. 17, პირადი #01008037275, პასპორტის #17AA63367), მომმართა. ასევე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მის ქმედუნარიანობაში. მე ასევე შევამოწმე მისი უფლებამოსილება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21067234, 05/07/2021 11:40:42) და შპს „აპარტ დეველოპმენტი“-ს (ს/კ:405329764) წესდების საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ბექარი ხოფერია ნამდვილად არის შპს „აპარტ დეველოპმენტი“-ს (ს/კ:405329764) დირექტორი. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა ბექარი ხოფერიამ და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

რწმუნებულება

მე, ბექარი ხოფერიამ (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), როგორც შპს „აპარტ დეველოპმენტი“-ს (ს/კ:405329764) დირექტორმა, შემდეგში „მარწმუნებელი“, ამ მინდობილობით, გია ხოფერიას (დაბ.:09.09.1958წელს, პირადი #01007011176) და დარეჯან შათაშვილს (დაბ.:18.02.1979წელს, პირადი #01024003718), როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე, შემდეგში „რწმუნებული“, მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

ჩემი (როგორც შპს „აპარტ დეველოპმენტი“-ს ს/ნ 405329764) დირექტორის) სახელით ან/და ჩემი თანხმობის გარეშე ან/და ჩემთვის ინფორმაციის მოწოდების გარეშე, მისივე ერთპიროვნული შეხედულებისამებრ, განახორციელოს შემდეგი სახის ქმედებები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მათ შორის და არამხოლოდ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-ში, არქიტექტურის სამსახურში ან/და ქ.თბილისის მინიციპალიტეტის მერიის სხვა ნებისმიერ სტრუქტურულ დანაყოფში):

წარადგინოს განცხადებები მშენებლობის ნებართვების ან/და სხვა ნებისმიერი სახის ნებართვის, ლიცენზიის, თანხმობის მისაღებად, ჩემი სახელით ან/და ჩემი თანხმობის გარეშე, შესაბამისი განცხადებები, ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის ოქმს, განცხადებას, თანხმობას, ხელშეკრულებას და ა.შ.

რწმუნებულება გაცემულია გადანდობის უფლებით.

რწმუნებულება ძალაშია 2023 (ორი ათას ოცდასამი) წლის 13 (ცამეტ) ივლისამდე. რწმუნებულება გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის შემდეგი დანართი დოკუმენტები: 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან; 2. შპს „აპარტ დეველოპმენტი“-ს წესდება. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები“-ს შესახებ 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად 10 (ათი) ლარი, დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და 39 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი, სულ 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

ხელისმოწერა:
ბექარი ხოფერია

(შპს „აპარტ დეველოპმენტი“-ს დირექტორი)

ნოტარიუსი დავით ჩალათაშვილი